ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N29

16.11.2023 წელი
12:30 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 16 ნოემბერს, 12:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, ამავე სამსახურის უფროსის **მოადგილე ლევან მიქავა**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032331753-03, 13.11.2023წ.),*
   მომხსენებელი - **გაიოზ თალაკვაძე**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტის შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 700,912.4 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 632,132.6 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 68,779.8 ათასი ლარით. ბიუჯეტის მეორე პროექტის შემოტანისას ზრდა ისევ იქნება, სადაც ფინანსთა სამინისტროს ტრანსფერის ძირითადი ნაწილი აისახება, ასევე აისახება მეტროს ვაგონებისათვის განკუთვნილი თანხები, ამ დროისთვის ზუსტდება სახელმწიფო ტრანშის ტექნიკური ნაწილი.

2024 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 542 391,1 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 223 111,1 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 213 611,1 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1 879,5 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38 296,3 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 154 685.2 ათასი ლარი; განათლება - 246 047,1 ათასი ლარი; **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 35 534,7 ათასი ლარი;** საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 6 297,0 ათასი ლარი; ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 239 059,3 ათასი ლარი.

2024 წლის დედაქალაქის ბიუჯეტის პირველადი პროექტით, სპორტის განვითარების ხელშეწყობა და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამების განსახორციელებლად 16 916,7 ათასი ლარია გათვალისწინებული.

2023 წლის ბიუჯეტთან მიმართებით მატების ნაწილში განსაზღვრული 68,779.8 ათასი ლარიდან, 10 524,5 ათასი ლარი გადანაწილდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით, რომელიც მოხმარდება სახსრების ენდოპროთეზირებას და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების 100%-ით დაფინანსებას. დანარჩენი კანონის შესაბამისად შრომის ანაზღაურების 10%-იან მატებას მოხმარდება, როგორც საჯარო მოსამსახურეებისთვის, ასევე ბაღების პედაგოგებისთვის და სხვა დასაქმებული პირებისთვის, ხელფასის მატება მოხდება 2024 წლის იანვრიდან.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

ნინო კვიტაიშვილი - ხელფასების ზრდა გულისხმობს მუნიციპალურ უწყებაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელს? კონსოლიდირებულ ტენდერებთან დაკავშირებით ბაღებს მოუწევთ ყველაფერზე ერთიანი ტენდერების გამოცხადება?

გაიოზ თალაკვაძე - ბაღების პედაგოგებისთვის და მუნიციპალურ უწყებაში დასაქმებული ყველა პირისთვის 10%-ით იზრდება ხელფასი. ბაღებს 10,0 ათასი ლარის ფარგლებში შეუძლიათ პირდაპირი შესყიდვის განხორციელება, ხოლო რაც აღემატება აღნიშნულ თანხებს, მოხდება ცენტრალიზებული შესყიდვა სააგენტოს მხრიდან.

გურამ ოქროპირიძე - სპორტის და ახალგაზრდობის მიმართულებით, 2024 წლის ბიუჯეტის პირველად ვერსიაში კლებაა 2023 წლის ბიუჯეტთან მიმართებით, მაგრამ ძირითადი პროგრამები, რაც იყო წინა წელს გრძელდება და შენარჩუნებულია. ძირითადად, კლება გვაქვს ინფრასტრუქტურის და მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების პროგრამებში. კომისიის რეკომენდაციებში ასახული იქნება ყველა ეს მიმართულება და ველოდებით აღნიშნული პროგრამების გაზრდას. ასევე რეკომენდაციაში ავსახავთ რაიონული გამგეობების კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული პროგრამების ღონისძიებების ნაწილის მატებას, რადგან განსაზღვრული ბიუჯეტი არ არის საკმარისი.

ლევან მიქავა - ბიუჯეტში დევს გარდამავალი პროექტები, ვარკეთილის მშენებლობის დასრულების ნაწილი, დიდი დიღმის აღჭურვა, დიდი ლილოს სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები, ასევე 2023 წელს დაწყებული საპილოტე პროგრამა „ფიზიკური დატვირთვის სკრინინგი“ გაიზრდება და მოიცავს მუნიციპალური სპორტული ცენტრებით მოსარგებლე ყველა ახალგაზრდა ბენეფიციარს.

გივი ჩხარტიშვილი - დიღმის მასივში მე-3 კვარტალში (ს/კ 01.13.03.041.038; 01.13.03.041.037) სპორტული ცენტრის დემონტაჟის და მის ადგილზე ახალი სპორტული მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობასთან დაკავშირებით რა მდგომარეობაა?

გაიოზ თალაკვაძე - ცენტრალური ბიუჯეტიდან ველოდებით ტრანსფერს, მოგვაწოდეთ რეკომენდაციები, გადავამუშავებთ და მაქსიმალურად ვეცდებით გავითვალისწინოთ.

ირაკლი გვილავა - დიღმის მასივში არსებული ძველი სპორტული ცენტრის სამშენებლო პროექტთან დაკავშირებით კომპანიის მხრიდან მოხდა პროცესის დროში გაწელვა, ვიმედოვნებთ, რომ თვის ბოლოს დასრულდება, რეალურად აგვისტოში უნდა დაესრულებინათ, ახლა კომპანია საჯარიმო სანქციებზეა. წინასწარი ვარაუდით დემონტაჟი უნდა მოხდეს შენობის და შემდეგ ახალი უნდა აშენდეს, როგორც კი ჩაგვბარდება პროექტი დავიწყებთ კომპანიებთან მუშაობას და ბიუჯეტის მობილიზებაზე გადავალთ, როგორც 2023 წელს რამდენჯერმე მოხდა სპორტის და ახლგაზრდობის მიმართულებით ბიუჯეტის კორექტირება და დაგვემატა სხვადასხვა პროგრამებზე თანხა, ასევე ველოდებით 2024 წელსაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

მომხრე - გურამ ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე- (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ნინო კვიტაიშვილი (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიის დასკვნა შენიშვნებით და რეკომენდაციებით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 ივლისის 2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 71-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად" გადაეგზავნოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას შემდგომი რეაგირებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამ ოქროპირიძე